# კომიქსების კონკურსი

**გუნდი:**
კიბერ გურია

**გუნდის წევრები:**
ანასტასია - (VII კლასი) და
მარიამი - (IX კლასი)

**მენტორი:**
იზო ზენაიშვილი

**სკოლა:**
სსიპ - ვაჟა თოდუას სახელობის
ქალაქ ლანჩხუთის №3
საჯარო სკოლა

**გამარჯვებული კატეგორიაში:**
ჟიურის რჩეული



#ისაუბრეფულზე | #ისაუბრეკიბერუსაფრთხოებაზე

საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia
ფინედუ
საქართველოს ბანკი
ბაზისბანკი

# კიბერ - გურია:

## ნიგერიელი პრინცის საიდუმლო






სახელი: ესტატე
იარაღი: სმარტფონი
სისუსტე: სჯერა, რომ ინტერნეტში მილიონებს უფასოდ არიგებენ.




ძაღლი გოშია
ესტატეს საუკეთესო კიბერ-მცველი



სახელი: კოწია
იარაღი: თოხი და გურული ლოგიკა
სისუსტე: მაგფერი არაფერი არ გააჩნია.


ვაიჰ!
კოწია, ძამა, მიყურე ერთი აგეთ! ნიგერიის პრინცი მწერს, ჩემს "ფეისბუქზე" დაგინახე და შენი ჭირიმე, მილიონები მაქვს და შენს ანგარიშზე უნდა გადმოვრიცხოო!
გოშია


მერე, რეიზა მაინდამაინც შენთან, ესტატე? ნიგერიაში კაცი გამოილია თუ შენი წვერ-ულვაში მოეწონა მაგ დალოცვილს?!


აი, აქით 'დააჭირეო' მწერს, რომ 'დაადასტურო' რაღაც 'ლინკიო' თუ... თევზაობის ამბავია მგონი, 'ფიშინგიო' აწერია გვერდზე!
გაჩერდი!
გაჩერდი, შე კაცო! 'ფიშინგი' კი არა, ეგ არის 'ჩანგალზე' წამოგება! მაგ ლინკზე რო დააჭერ, შენი 'კარტა' ისე გაქრება, როგორც შარშანდელი თოვლი გურიის მთებში!


რას მელაპარაკები, კოწია, ჩემი პაროლი ისეთი დახლართულია, "ეფ-ბი-აიც" ვერ გაშფრავს! აი, ნახე რა მიწერია: "გოშია_ჩემი_ლომია_2026#"! მაგას რომელი ნიგერიელი პრინცი გამოიცნობს?
გოშია_ჩემი_ლომია_2026#
ეჰ, შე დალოცვილო, ეგ არის ზუსტად მითი! ფიშინგი ის კი არ არის, ვინმემ პაროლი გამოგიცნოს, ფიშინგი ისაა - შენი ხელით რომ ჩაუწერ მაგ "ლომია გოშიას" იმ ყალბ ლინკზე! პაროლი ალმასის რომ გქონდეს, თუ შენით აჩუქე თაღლითს გასაღები, რაღა აზრი აქვს!


ეჰ, კოწია, შენ მართალი ხარ! "უფასო ყველი მხოლოდ სათაგურშიაო" - გურულებს არ გვითქვამს, მარა ჩვენზეა გამოჭრილი!
ჰოდა, შეეშვი მაგ პრინცებს და ლინკებს ესტატე! აიღე აგი "თოხი", აგია ჩვენი ნამდვილი "კიბერ-უსაფრთხოება" - აქედან ვერავინ ვერაფერს მოგპარავს, თუ შენით არ გააჩუქე!


სანამ ლინკზე დააჭერ გაიხსენე ნიგერიის პრინცი გურიაში ნათესავებს არ ეძებს